წესისამებრ აიღე მისი ქონებიდან იმდენი, რაც საკმარისი იქნება შენთვის და შენი შვილებისთვის

გადმოცემულია მორწმუნეების დედა აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ თქვა: «ერთხელ აბუ სუფიანის მეუღლე, უთაიბას ქალიშვილი ჰინდი მივიდა ალლაჰის შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და უთხრა: ო ალლაჰის შუამავალო, აბუ სუფიანი ძუნწი კაცია, მე და ჩემ შვილებს საკმარის თანხას არ გვაძლევს, რომ ჩვენთვის საკმარისი იყოს. გარდა იმისა, რომ მე მისი ქონებიდან ვიღებ მისი ცოდნის გარეშე, ამის გამო მე მექნება ცოდვა? ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «წესისამებრ აიღე მისი ქონებიდან იმდენი, რაც საკმარისი იქნება შენთვის და შენი შვილებისთვის».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

უთბას ქალიშვილმა ჰინდმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) შუამვალს (ალლაჰის ლოცვა და შვიდობა მას) სთხოვა ფათვა თავისი ქმრის აბუ სუფიანის შესახებ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), ის არის ძალიან ძუნწი პიროვნება ძალიან უფრთხილდება მის ქონებას, და არ აძლევდა მას და მის შვილებს თანხას, რომელიც მათთვის საკმარისი იქნებოდა, ის (ჰინდი) მისი (აბუ სუფიანის) ქონებიდან ჩუმად იღებდა მისი ცოდნის გარეშე, და ამის გამო მას ცოდვა ეთვლებოდა თუ არა? შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: აიღე შენთვის და შვილებისთვის მისი ქონებიდან იმ რაოდენობის თანხა, რომელიც ზოგადად ცნობილია, რომ საკმარისი იქნება თქვენთვის, თუნდაც მისი ცოდნის გარეშე.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/2965